

## № 3 წიგნი მესამე.

### ს ა უ ბ ა რ ი

მისთვის, თუ როგორ უნდა ილოცოს კაცმა მინდორში მუშაობის დროს (\*).

როგორც ხორციელნი დედანი თქუძნნი გგზავნიან რა მინდორში სამუშაოდ, მოგიმზადებენ ჭ გაცატანებენ თან საჭმელს პურსა, სანთავაკსა და სხუასა, ეგრეთცა სუფიერი დედა თქუძნი—ეკლესიის ყოველთჳს ზრუნავს თქუძნთჳს, რომ მოგცეთ და გიდეც გაძლევსთ მინდორში იმავე სუფიერსა საჭმელსა, რომლითაც იზრდებით და აღივსებით, რომდესაც სდგენართ თქუძნ მის წმიდა ტაძარში.

ახლა მკითხეთ, ძმანო ქრისტიანენო! თუ, რომდესაც ვართ მინდორში და მთელ დღეს ვმუშაობთ, როგორ უნდა ვილოცოთ ქრისტიანურად და ეკლესიურად?

მოგიგებთ, პირველად: თუთოეულმან თქუძნგანმან, განსაკუთრებით წიგნის უცოდინარო კაცთა, რომელთაცა არ იციან სამღუთო წიგნება, უნდა უეჭველად განიხიერად და მტკიცედ იცოდეს ზეპირად: ლოცუჳ უფლისა — მამაო ჩუძნო რომელი ხარ ცათა შანა; ანგეფოსისა ხარება ღუთისამ მობელისა და ყოვლადმეწყალისა მთარველისა ჩუძნისადმი: ღუთის მშობელო ქალწულო გიხაროდუნ; და აღსარება მართლმადიდებელისა სარწმუნოებისა: მრწამს ერთი ღმერთი მამა. . . რომ უეჭველად უნდა ვიცოდეთ ესე ლოცუები, ამას თუთ დედა ჩუძნი — ეკლესიის გვიბ-

(\*) თქმულარს ერთს კვირა დღესა ქუძუის წმ. მთავარანგელოზის ეკლესიისაში, 1866 წ.



რძანებს: ჭშკენის ყოკლად-საჭიროდ, ამბობს იგი, რომ ყოველმა ჭსასკმა და სქესმა კაცისაჲ იცოდეს ლოცულები: მამათ ჩუწნო; ღმთის-მშობელთ ქაღწულთ; და მრწამს ერთი ღმერთი, და ესენი უნდა წაიკითხოს დღეში რავდენჯერმე.

მეორედ მოგიგებთ: ესე წმიდა ლოცუანი, ესე იგი, მამათ ჩუწნო, ანგელთისა ხარება ღმთის-მშობელისადმი და აღსარება სარწმუნოებისა დღეში საჯმერ მანც, თუთვეულმა თქუწნგანმა ენდ უგუკლად წაიკითხოს ანუ მოისმინოს: დილით, შუადღისას და საღამოთი. მაგალითებრ, დილით უნდა აღდგეს ძილისაგან, დაიბანოს შირი, ზირჯვარი გამოისახოს და დადგეს აღმოსავლეთისაკენ, ანუ თუ არს ახლო სადმე ეკლესიისაკენ, და წარმოიდგინოს ისე, რომ ვითომც ეკლესიაში სდგებართ, წინაშე საკურთხეველისა უფლისა ჭ ლოცოთ ესე სამჯერ: სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, ამინ; შემდეგ მამათ ჩუწნო: ბოლომდინ, შემდეგ მრწამსი, — ბოლომდინ-და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნესასა ამინ. ამას კიდევ დაუმატეთ ლოცუა ანგელთისა მცუწლისა, თუბცა ესე მოკლედ: წმიდათ ანგელთთ ღმთისათ, მთარველთ ჩემთ, ეკედრე ღმერთისა ჩემთჲს; კიდევ ამასაც ნუ დაივიწყებთ, რომ, რომლის სახელი წმიდისა შენ გძევს, მაგალითებრ ანდრია თუ გქვიან, მაშინ ჭსთქვი: ღირსო მამათ ანდრია ეკედრე ღმერთისა ჩემთჲს; თუ იოანე, მაშინ ჭსთქვი: ღირსო მამათ იოანე, ეკედრე ღმერთისა ჩემთჲს, და სხუანი.

მესამედ მოგიგებთ: უნდა წაიკითხოთ ყოველი ლოცუა ეკლესიის კანონისამებრ და ქრისტიანურის სინიღისისამებრ, არა ჩქარად, დაუნარკლად, მღაბლითა და შემუსკრილისა გულითა, წყნარად, გონივრულად და ყურად-ღებით, და არა ენა-ბოროტიკ და გონება მიხდილ. ენამან შენმან უნდა გამოსთქუას თუთვეული სიტუა ლოცვისა, რომ გორც წმიდა წიგნებშია ჭსწერიას, გონებამან შენმან იფიქროს მარტო ის, რასაც ენა შენი კითხულაბს, და ნუ სხუასა რასამე იფიქრებს. გულმან შენმან მტკიცეთ დაინერგოს კულად იგივე და ბოლოს განზრახუაცა შენი იყოს მხოლოდ ერთ ლდენ, რომ რასაც საქმეზედ



დადგე, იგი ყოველთვის იყოს სათნოდ ღმერთისა. რადესაც ჭკითხულობ  
ყოველსა ღმრთისა, გამოისახე სიმის თითითა ჭრისი გულზედ კე-  
თილ-მოწიწებითა, ჭკიენ მუხლთ მოდრეკა დედამიწაზედ და მცირე მე-  
ტანიას გულს-მოდგინებითა, ვისაც რა შეუძლიან და რა დროება აქუს.

შეუძლიან, რომ თვთოეულმა ჩუწნგანმა ილოცოს და წაიკით-  
ხოს ღმრთები საკუთრად და განმარტობით; მაგრამ შეიძლება, რომ  
ესე წმიდა საქმე აღასრულოს რადუნთამე შეკრებულთა კაცთა ერთსა  
ადგილსა. თქუწნ ჩუწრულებისამებრ მუშაობთ ხან ერთათ — მთელის სახ-  
ლობითა, და ხან და ხან ერთათ შეიკრიბებით რადუნთამე სახლობანი.  
და აჭა შეიკრიბებით მოცლილ დროსა და დასდევით ერთათ ღმრთი-  
ზედ ერთი თქუწნგანი წაიკითხავს და ილოცავს, ხოლო სხუანი ის-  
მენენ ყურად-ღებითა ჭკედრებისან. მაშინ ეგრეთი თვთოეული შეკრე-  
ბილება თქუწნი იქმნება არა სხუა, გარნა ჰატარა მინდვრის, ეს-  
რეთ ვჭსთქუათ, ეკვლესიას უფლისა იესო ქრისტესი, და თვთ უფა-  
ლი იქმნება მაშინ თქუწნ შორის, როგორც თვთ ბრძანებს: სადაცა  
იუჟინენ შეკრებულ არი ანუ სამი სახელისა ჩემისათვის, მუნ მე მათ  
შორის (მათ. 18 მუნ. 20). რჭ მეგობარნო ჩემნო! ეს როგორც კა-  
რგი იქმნება, უკეთუ დილით, შუადღისა და საღამოთი, კეთილნი სა-  
ლხნი მინდურისანი, სხუა და სხუა ადგილისანი, შეიკრიბებიან ერთათ,  
და მშვიდობით უფლისა მიერ ილოცვენ. არა თუ ღმერთისათვის იქმნება  
ესე სასიამოვნო, არამედ ხალხისათვისაც სახუგეშო იქმნება, რომ ნახ-  
ვენ ამისთანა კეთილ-მსახურებასა და ჭკეშმარტ-ქრისტისანურ შეკრე-  
ბულებისა ერთ-სულობის და საზოგადო ღმრთისათვის.

გარნა, მართლ-მადიდებელნო ქრისტისანენო! ეს კიდევ ცოტასა,  
მხოლოდ მარტო დილით, შუადღის და საღამოთი ვილოცოთ, უნდა  
წინათ მუშაობისა და შემდეგ მუშაობისაც ვილოცოთ; რამეთუ ჭერ-  
არს ღმრთიზედ თვთ მუშაობის დროსაცა, ამაზედ წმიდა მოციქული  
გვამცნებს: დაუცხრომელად ილოცევდით (1 თესაღ. თ. 5. მუნ. 17).

აქ, რასაკვირველია, თქუწნ მკითხავთ: თუ როგორ შეიძლება,  
რომ მუშაობის დროს ვილოცოთ, ანდაზისამებრ: „არაი საქმე ერთ



ხელში არ დაიჭირება“. უკეთუ უოკელთჳს ვილოცოთ, როდისღა ვი-  
მუშავოთ? . . .

გამიგონეთ, ძმანო, როდესაც მუშაობთ, მაშინ თქვენ ჩუმათ  
ხართ თუ არა? არა. მაშ რას აკეთებთ? მაშინ თქვენ ჩამოაგდებთ  
ლაშარაკსა, იტყვიან უბრალო სიტყვებთა, ანუ იმღერებთ ღმთის-სუსი-  
ამოგნო ლექსებსა; და ხან და ხან იმოდენს ყვირით და ლაშარაკობთ,  
კითხვით უოკელი ქუჩებსა თქვენნი იყოს. უშლისა ეს ლაშარაკი და  
ყვირილი თქვენ მუშაობასა? მუშაობასა არ, უშლის, მარამ სულსა  
ძალიან აწყენს. და ესრეთი უბრალო სიტყვების თქმასა, უფრობესი  
არ იქმნება, ძმანო, რომ მოკლე ლოცვები წარგსთქუათ უოკელ შემთხ-  
ვევის დროს. ამისთანა შემთხვევები მრავალი არის. მაგალითებრ:  
როდესაც ახამ ხარსა ანუ გამბეხსა გუთანში ანუ ურემში, ჭსთქვი შენ-  
თჳს, ანუ ხმა მალლად: უფალო მაკურთხე, მომეც ღმერთო კეთილი  
საათი, (ანუ ჟამი); მიგქუს რა სახალხე მინდოროში ანუ სხუგან, წარ-  
მოსთქვი ხოლმე დრო და დრო გზაზედ: უფალო შემიწყალე, უფა-  
ლო შემიწყალე, უფალო შემიწყალე. ხედავ რა, რომ სამუშაო კარგად  
მიდის, ჭსთქვი: დიდება შენდა უფალო. ხედავ რა ცუდათ არის საქმე,  
ამოიოხრე და ილოცე: დედოფალო ჩემო, უოკლად-წმიდაო ღმთის-  
მშობელო დამიოვარე მე; სათნოლო ღმთისანო ილოცეთ ჩემ-  
თჳს. გრძნობ რა, რომ შენ თაკში მოდის ცუდი თქირი, მაშინვე  
გამოისახე ზირჯუარნი და ჭსთქვი: უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმ-  
თისანო, შემიწყალე მე ცოდვლი; ანგელოსო მცველო ჩემო, დამიოვარე  
მე; მოურჩილებელად შესცოდე რა ჭაზრითა ჭ ანუ თქირითა ჭ ანუ სი-  
ტყვიითა, ამოიოხრე სინანულითა და ჭსთქვი მდაბლითა და შემუსვრი-  
ლითა გულითა: ღმერთო მოწყალე მექმენ მე ცოდვლსა. წაახდინე რა  
საქმე უსახელად, ნუ იშოვოთებ, არამედ უფრობესია ჭსთქუა: ახ, უფა-  
ლო, უფალო, ნუ განმირისხდები მე შემუსვრილსა. მოვიდა რა ვინმე  
შენთანა, ანუ შენ მასთან სტუმრად ანუ შესაწყენად, ჭსთქვი: ღმერთი  
იყოს შენი შემწე, ძმანო. წავა რა ვინმე შენგან, კუჩლად უთხარნი: უფა-  
ლო ღმერთი იყოს შენთან, ანგელოსი მოგზაურობდეს შენთან,



შეგობარა. და შენ წამოხვალ რა სხვისგან, ჰატივი განუცხადე და უთხარი: მადლობელი ვარ, ძმაო, ღმერთა იყოს შენთან; ხოლო შენ გზახედ ხვალ რა, მალ-მალ წარსთქვი ხოლმე: ღმერთო მოწყალე მექმენ მე ცოდვილსა, ღმერთო მოწყალე მექმენ მე ცოდვილსა. სიტყვით, ყოველ შესახვედრ შემთხვევაში განიმეორე: უფალო შემიწყალე; დიდება ღმერთსა ყოვლისათვის; დედაო ღმერთისაო ნუ დამაგდებ მე; ყოვლად-წმიდაო ღმერთის-მშობელო შემეწიე მე.

ძნელაა რა ესრეთი ღოცა? თუთ ხედავთ რამ არა. გიშლითა იგი მუშაობასა? არათუ გიშლით, არამედ გაწკვიათა, და ყოველსა საქმესა თქმუნსა ექმნება კეთილი ზოლო, და იქმნება ეგრეთ, როგორც თქმუნს წმიდა ღოცაში ეკედრებით. გართმეკთა დროსა საჭიროდ მუშაობისათვის? არა; იგი გართმეკთ დროებასა მხოლოდ უბრადო ღაპარაკისასა, გამოუსადეგარი ლექსებისასა, წყენა შემოსილის ჩხუბისა და ტემისასა, ყოვლის ცუდის და საძაგელის საქმისასა. ამისთვის გუჟადად გეტყვით: ელოცეთ, როგორც ბრძანებს წმიდა მარტიული ქრისტესი ჰაკლე. ულოცავთ არასერი არ დაიწყოთ რა, და არა გაათავოთ რა. უბრჯუნარის დაუწერლათა და ღოცვის უოქმელათა, ნუ აიღებთ ტელსა, ნურც რულსა და ნურცა სამგაღსა ხელში; ნუ მიხვალთ ხართან ანუ ცხენთან წასაყუნახად სამუშაოდ; ნუ დაუდებ ურემზედ თივასა, ძნასა და სხუნასა საზაღნესა; ნუ მიიტან ჰირთან ლუგმასა, ნუ დაიხრები ჭახედ ანუ წყაროზედ, ანუ მდინარეზედ წყლის დასაღევათა, ნუ დაჯდები, და ნუ ადგები, სიტყვით ნურას გააკეოებ ულოცავად (\*)

---

(\*) ეს სიტყვები უფრო მან წარმომართქმევინა, რომ ჩუჭნ საქართუშლოს ხალხში არის იმისთანა ცუდნი ქცევანი: მუშაობის დროს თავის დღეში კეთილს არ იტყვიან; გინების, ლანძღვის, და ჩხუბის მეტსა;—მეტადრე თუ ღვინოც მომატებული აქვთ. არა რომლისამე საქმის დაწყების დროზედ ჰირ-ჟუნარს არ დაიწერენ და ღმერთს არ ახსენებენ; წყევლა საზარელის ხმითა—დედაკაცებსა და გინება და ლანძღვა მამაკაცებსა ჰირზედ აკერიათ, და ჩუჭულთებრივი მათი ღაპარაკი



ახლა თქუენ გაიკეთ ზ კიდუც შკიტუეო, რომ იყოთ რა მის-  
დარში და არა ეკლესიაში, შკიდუება ლოცუა ქრისტიანუზად და ეკ-  
გლესიურად. მადლობა უუკაცსა ღმერთისა, ყოვლადწმიდასა მისსა ღე-  
დასა ზ ყოველთა წმიდათა მისთა. ამან.

მღუდელი იოსებ ელიევი.

---

ეს არის. საქონლის გინება—გამჩენით, და საშინლათ ცემა მათი სახრით, და სხუ-  
ნი მრავალნი ღუთისგანმარისხებელნი ჩუჭულებანი და ამაოდ ჰრწმუნებანი ქს-  
ჭირთ ჩუჭუნ საცოდავ გლახკაცებსა. ამ სიტყუების თქმამა ძალიან ყური გაუ-  
თქვიფათ და სინანულში შევიდნენ. შემდეგ ამ სიტყუების ჰთქმისა აღიარეს და  
მითხრეს: რავენათო დამრიგებელი და მასწავლებელი არა ვინ გვეყავსო; ჩუჭუნ  
უმეცარნი და უსწავლენი ხალხნი ვართო; ანდაზი არის: «ქუევრს რას ჩასძახებ, იმას  
ამოგძახებსო». ჩუჭუნი საქმე ისე არისო, რასაც გავიგონებთ და ვისწავლით იმას  
ვამბობთო; თითქმის ჩუჭუნ ცოდუათ არ მიგვაჩნიაო. მამა ჰაპისაგან რაც გავიგო-  
ნია, ის გვისწავლიაო. «ბევრი მღუდლები გვეყოლია, მაგრამ ეგენი მათ არ უსწავ-  
ლებიათო».



# ს ი ტ ე უ ა

ჴეშმარითისა სიუკარულისათჳს თავისა თჳსისა.

«არავინ სადა თავი თჳსი მოიძულოს,  
არამედ ჴზდინ და ჴფუფუნებნ მას.» ეფ. ე. ვ.

თუმცა უფალმან ჩუწნმან იესო ქრისტემან სიუკარულისათჳს ღუთისა და მოუწასთა სთქუა: ამათ ორთა მცნებათა ზედა ყოველი სჯული და წინასწარმეტყველნი დამოკიდებულადიან (მატთ. კბ, ლგ, მ), გარნა ამით არამცთუ გამოიჩინებინ თანამდებობანი ჩუწნნი შესაქებ თავისა თჳსისა, არამედ უმეტეს განემტკიცებინ ჳ ჴეშმარითად განიზოგებინ იგინი. შეიუკარო მოუკასი შენი ვითარცა თავი თჳსი (მუხ. ლთ.). და აწ რადსათჳს არ არის განსაკუთრებით მოცემული მცნება სიუკარულისათჳს თავისა თჳსისა? ამისთჳს რამელ ბუნებითად, არავინ სადა თავი თჳსი მოიძულოს, არამედ ჴზდინ და ჴფუფუნებნ მას. მაძასადამე, უკეთუ ჩუწნ უმცნებოთაც ბუნებითად ვზრუნავთ თავისა თჳსისათჳს, — უსარგებლო არ იქმნება განმარტება ამა საგნისა. რადგან კაცს დროდგან ადამის დაცემისა, მიდრეკილებისა ებრ ბუნებისა თჳსისა ცოდვისადმი, უკანონო და შეუსაბამო ზრუნვა თავისა თჳსისათჳს ხშირად მიაჩნია კეთილად, ამისთჳს საჭიროა ვსცნათ: რასა შინა მდგომარეობს ჴეშმარითი სიუკარული ქრისტეანისა თავისა თჳსისადმი?

„ჩუწნ უნდა გვიუკარდეს თავი თჳსი ღუთისათჳს“, ე. ი. ყოველი ზრუნვა ჩუწნი თავისა თჳსისათჳს უნდა იყოს ჩუწნდა სასარგებლოდ, გარნა ესე სარგებლობა ჩუწნი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ნებასა ღუთისასა, ანუ სჯულსა მისსა, არამედ იყოს აღსასრულელებლად მცნებათა მისთა და სადიდებულად მისა. რა უნდა გვქონდეს საგნად სიუკარულისა თავისა თჳსისადმი? რადგანაც ბუნება კაცისა შესდგების ორის ნაწილიდგან სულისა და ხორცისაგან, ამისთჳს ჩუწნს სიუკარულისათჳს თავისა თჳსისადმი უნდა გვიუკარდეს თავი თჳსი ღუთისათჳს, ე. ი. ყოველი ზრუნვა ჩუწნი თავისა თჳსისათჳს უნდა იყოს ჩუწნდა სასარგებლოდ, გარნა ესე სარგებლობა ჩუწნი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ნებასა ღუთისასა, ანუ სჯულსა მისსა, არამედ იყოს აღსასრულელებლად მცნებათა მისთა და სადიდებულად მისა. რა უნდა გვქონდეს საგნად სიუკარულისა თავისა თჳსისადმი? რადგანაც ბუნება კაცისა შესდგების ორის ნაწილიდგან სულისა და ხორცისაგან, ამისთჳს ჩუწნს სიუკარულისათჳს თავისა თჳსისადმი უნდა გვიუკარდეს თავი თჳსი ღუთისათჳს, ე. ი. ყოველი ზრუნვა ჩუწნი თავისა თჳსისათჳს უნდა იყოს ჩუწნდა სასარგებლოდ, გარნა ესე სარგებლობა ჩუწნი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ნებასა ღუთისასა, ანუ სჯულსა მისსა, არამედ იყოს აღსასრულელებლად მცნებათა მისთა და სადიდებულად მისა.



რულს თავისა თვისსადმი უნდა ჰქონდეს ორგვარი საგანი სული და ხორცი. ვითარნი თანამდებობანი უნდა წარმოსდგებოდენ სიყვარული-საგან თავისა თვისსადმი, შესახებ აღნიშნულთა ნაწილთა კაცობრივის ბუნებისათა? ვინააღვან ჰირველად ღმერთმან შექმნა კაცი ხატად და მსგავსად თვისა და მით ჩიჴსნა მას თვისი დანიშნულება, რომელს, უნდა მისწოდეს იგი აქაურის კეთილის ცხოვრებით, ამისთვის სიყვარული თავისა თვისისა მოითხოვს, რათა უმანკოდ ანუ წმიდათ დაკიცვათ ჩიჴსნ შორის ხატებს და მსგავსებს ღმერთსა და მით აღვასრულეთ ჩიჴსნი დანიშნულება. მისაწდომელად ამ დანიშნულებისა ჩიჴსნისა მოგვანიჭა ჩიჴსნ ღმერთმან რაგორათაც შინაგანნი სულიერნი ცნობანი: გონება, ნება და გული, რომლითაც განკარხევთ კეთილს ბოროტისაგან, ეგრეთვე გარკვეანნი გრძნობანი, რომლითაც ჩიჴსნ შინაგანს გრძნობას დაკამტკიცებთ თვით საქმით. ვითარ უნდა მოვიქცეთ, რათა თვითოეულმან სულიერმან ცნობამან ჩიჴსნმან კეთილად აღასრულოს თვისი დანიშნუ-ლება? ჩიჴსნ თვითოეული მათგანი უნდა დაკაყენეთ წინაშე ღმერთისამიერ ნახვეებს გზაზედ და ვახვეეთ საზღვარნი, რომელთაც ისინი არ უნდა გარდახდენ. სახელდობრ:

გონებით უნდა მოვიზოვებდეთ სწავლას, ჰირველად იესო ქრის-ტეზედ, ვითარცა ჩიჴსნთვის ჯუარ-ცმულზედ (იაკ. ბ. ბ); მისი წმი-და სახელი სიურმიდგანვე უნდა იყოს დანერგული გულთა შინა ჩიჴსნ-თა, ზ გვეჩინდეს ცნობა მასზედ, თუ რას მოითხოვს ჩიჴსნგან წმიდა ნება ღმერთისა, რომელთანაც უნდა შეკათანახმეთ ჩიჴსნი ცხოვრება (ეფ. ე, იზ). ხოლო რადგანაც ნება ღმერთსა კაცისათვის და სხუარცა უოველივე რად-ცა საჭირთ არს მისთვის იზოების საღმრთო წერილში, ამისთვის ის უნდა გვეჩინდეს ჩიჴსნ ხელ-მძღვანელად ცხოვრებასა და მოქმედე-ბასა შინა ჩიჴსნსა. გარდა ამისა, რადგან კაცისათვის, ვითარცა სული-ერისა და ხორციელისა არსებისათვის არ შეიძლება ცხოვრება ამ ქიჴს-ყანაზედ ერთითა სხოლოდ სულიერითა ჰურითა—საღმრთო წერილი-თა, ამისთვის სწავლა სხუათა და მხუათა ბუნებითა საგანთა არა ეწი-ნააღმდეგების ნებასა ღმერთისასა. ამასთანავე უნდა ვსთქვათ, რომელ



კეთილის აწმით სწავლა ბუნებითა საგანთა ანუ ხელისნებათა, თუმცა არ ეწინააღმდეგება სიუწარულს თავისა თვისისაღმი, მაგრამ მაინც პირველ საგნად განათლებისა უნდა იყოს ქრისტიანობრივი სწავლა; ხოლო რაჟცა შეეხება აღნიშნულს საგნებს, ისინი უნდა ვისწავლოთ არათუ მხოლოდ მოსაზრებულად მრავალგვართა ცნობათა სხუა და სხუა საგნებზედ, არამედ იმ ზომით, როგორათაც ცოდნა მათი არის საჭირო და სასარგებლო კეთილ-მოქმედებისათვის. უწინდელ დროს სიტუკისებრ ავგუსტინესა, უბედურად იწოდებოდა იგი, რომელმაც იცოდა ყოველი, ხოლო ღმერთი კი არ იცოდა; წინააღმდეგ ამისა ნეტარად იწოდებოდა იგი, რომელმაც იცოდა ღმერთი, თუმცა მას სხვა ცოდნა არა ჰქონდა. აი რაში უნდა მდგომარეობდეს გონების მოქმედება!

შესახებ ნებისა უნდა ვცდილობდეთ დაუამკვიდროთ იგი განიხილოთ ზედა კეთილ-მოსახურებისათა და მით გასრულებდეთ ნებისა ჩუქნის მოქმედებისას, რომელიც მოითხოვს ჩუქნის სწავლას; ესე არს ნება ღმერთისა სწავლად თქუქნი, და გუჯადა: წმიდა იუვენით ვითარცა მე წმიდა ვარ (ა თესალ. დ, გ. ა პეტრ. ა, ივ, ივ).

რადგანაც განათლება გონებისა და ნებისა ჩუქნისა დაშთების უნაყოფოდ, უკეთუ იგი არ მიიღებს გულათა, რომლითაც გვრწამს სიმახრთლედ (რომ. ი, ი), ამისთვის ჩუქნი უნდა ვზრუნავდეთ გულის განსანათლებულათაც. განათლება გულისა მდგომარეობს მას შინა, რათა ბუნებითი საჭიროებანი მისნი, ესე იგი—გრძნობა ჭეშმარიტებისა, კეთილისა და მშვენიერებისა ჟერჯონად კმაყოფილ-ყოთ თანაშემწეობითა მადლისა სულისა წმიდისათა (ა კორ. თ, კდ), და აღმოგებნათ ჩუქნიში თან-შობილი მიდრეკილება ბოროტისაღმი. ხოლო ბუნებითი გრძნობა სიუწარულისა თავისა თვისისაღმი არ უნდა გარდაემატოს მას, რაჟცა საჭირო არს ჩუქნის სხეულისათვის. ამასთანავე სწავლა სხუა და სხუა ხელისნობისა, ანუ მხატვრობისა, გალობისა, მჭერკმეტეულებისა და სხუათა მრავალთა არ შეამცირებს სიუწარულს თავისა თვისისაღმი, ამისთვის რომელ კეთილ-გონიერულის მათის მოხ-



მარტობით შეგვიძლიან ავკასრულეთ ნება ღმერთისა, ან ეპკლესიის გან-  
შეგნებითა, ან დატკობითა შინაგანთა კეთილთა გულის გრძნობათა  
ჩუქნითა, ანუ ხსუნთა მსგავსთა.

მაგრამ ვხმარობთა ზემო-ხსენებულთა ცნობათა ვითარცა ჯერ  
არს, ანუ ხშირად ვარღვევთ ჩუქნის ნებით ამ გვარს მათს დანიშ-  
ნულებას?

გონება ჩუქნი, ვითარცა დაუძინებელი მოქმედი, რომელიც ცდი-  
ლობს გამოიძიოს მიზეზი ყოველისა ქმნილებისა, ხშირად ვარდებს  
შეცთომასში, წადგანც საკუთარის ბუნებითის თვისებებსაც არა გამოყოფი-  
ლადებს მით, რითაც უნდა დაკმაყოფილდეს თანაშემწეობითა სხუნ-  
თა ცნობათა, არამედ ვარდახდება დანიშნულს საზღურებს. მაგ. კაცს  
თანაშემწეობითა გონებისათა შეუძლიან წარმოადგინოს მრავალნი კი-  
თხუნანი შესახებ ღმერთის არსებისა და სოფლისა ქმნილებისა და სხუნ-  
თა რასაცა ვერ მისწვდება სუსტი გონება მისი, უკეთუ არა  
მიიღოს ხელმძღვანელებად ღმერთებრივი გამოცხადება. მრავალთა ჩუქნ-  
განთა იცინან, თუ რადენნი არიან შთავარდნილნი ამ გუნარს ცთო-  
მილებასში ახლანდელს დროში. ესეკითარნი ზირნი ეწინააღმდეგების  
ნებასა ღმერთისასა და ამტარებენ სიუჭარულს თავისა თვისისადმი არა  
მით, რომელ იგინი, ვითარცა ღმერთის მიერ გონებით დაჯილდოებულ-  
ნი კაცნი, შეუდგებიან უმადლესსა შეცნიერებასა, არამედ მით, რომელ  
წინააღმდეგების სჯულსა ამას ღმერთისასა: უკეთესი იგი შეიკრძალოთ—  
ადიჩიეთ (მუხ. კა). რასაკვირველია, ესეკითარნი ზირნი ცხადად არ-  
ღვევენ მცნებასა სიუჭარულისათვის თავისა თვისისა, ვინაოდგან, განა-  
რისხებენ რა შემოქმედსა თვისსა, მით შთაცვივიან რისხუნასა ქუჭქუ მისსა  
და ითმენენ მრავალ-გუნართა ტანჯუნათა, რომელსაც რომ ეს არ იქმნე-  
ბოდა, უკეთუ მათ ცხადად ეცნათ ღირსება თავისა თვისისა და დანიშ-  
ნულება თვისთა სულიერთა ცნობათა. ამისთვის, მსმენელნო! ესცანიოთ  
რა თუ ვითარნი მნიშვნელობა აქუნს მხოლოდ ერთსა გონებასა თხნი-  
ერ საღმრთოთადას წერილისა შესახებ საგანთა სარწმუნოებისათა, უკე-  
თუ გვიუჭარს თავი თვისი, მტკიცეთ ვირწმუნეთ და ვიპყრათ



ღუთისა-შიერ გამოცხადებულნი ჭეშმარიტებანი და მათინ კერავითარი სწავლა ვერ შეიძლება ჩუქნის მტკიცე სარწმუნოების შეკრევას: ვერც ფილოსოფია, ვერც ასტრონომია, ვერც გეოლოგია და ვერცა რა სხუა.

ხოლო რა უნდა ვსთქვათ შესახებ ნებისა? ისიც არღვევს თვს დანიშნულებას თუ არა? ვინაოდგან ნება, ვითარცა ცნობა სულისა, ცდილობს აღსრულოს იგი, რადაც ეჩუქნება მას კეთილად, — ხოლო რადგან ამისთვის ხელ-მძღვანელობითა ამა ცნობისათა ხშირად ვარღვევთ სიუჭარულს თავისა თვისისადმი. ესე იგი, ნაცულად მის, რათა უთხრათ ჩუქნს თავს: მოიქეც ბოროტისაგან, და ჰქმენ კეთილი (ფსალ. რბ, გ), ჩუქნ უფრო კელტვით პირველსა; ნაცულად მოთმინებისა და მარხვისა, შეუდგებიან მუცლის-მოუჭარებასა, ანუ გემოვნებასა და ნაყოფიერებასა, რომლითაც ზოგნი ჩუქნგანნი უმეტეს ყოვლისა ჭრაცხვენ ხორციელს სიამოვნებას, ასე რომ მათი ღმერთი „მუცელი არს“ (ფილ. გ, კა); ნაცულად სიშვიდისა და დაფარულად კეთილის-მოქმედებისა ზოგნი მისდევენ ამხარტავანებასა, ე. ი. უმეტესად ჭრაცხვენ თვისსა ნიჭსა და უადრესობასა, რომელთაც ამ სახით ჭხდინ თვს კერვად, ხოლო ზოგნი ცდილობენ სახალხოდ გამოაცხადონ თვისი კეთილ-მოქმედება წინააღმდეგ თქმულისა: რაჟამს ჭყოფდე მოწყალებას, ნუ ჭსცნობნ მარცხენე შენი, რასა იქმოდეს მარჯვენე შენი (მატთ. ვ, გ). ნაცულად უხკებისა, შეუდგებიან ანგარებასა და მისთვის უფრო ზრუნვენ, ვიდრე ღუთის სიამოვნებისათვის; ამით ცხადად არღვევენ მცნებასა სიუჭარულისათვის თავისა თვისისა. ვითარცა მოციქული ჰაკლე იტყვის: ანგარება არს კერვთ-მისხურება (კოლ. გ, ე). ხოლო რადგანაც მიზეზი ამ გუჩართა ჩუქნთა მოქმედებათა იქმნება ან ისა, რომ ჩუქნ უცოდინრობისაგამო ნებისა ღუთისა ვერ დაგვიყენებია ჩუქნი თავი კეთილს გზასედ, ანუ ისა, რომ თუმცა ვიცით, მაგრამ არ გვინდა აღსრულება ნებისა მისისა: ამისთვის, უკეთუ ეს წარმოსდგება პირველის მიზეზიდგან, უნდა ვეცადნეთ ვსცნოთ ნება ღუთისა საღმერთო წერილით; ხოლო უკეთუ მეორისგან, ე. ი. თუ არ გვინდა აღსრულება ნებისა მისისა, მაშინ ჩუქნ ვსცდებით და



ვარდგვევთ მცნებასა სიუჭარულისათჳს თავისა თჳსისა. მაშასადამე სი-  
უჭარულისაგამო თავისა თჳსისა უნდა აღვასრულოთ ღუთისამიერ გა-  
რდამოცემულნი ჩუჭნთჳს მცნებანი არა ისრუ, ვითარცა ჩუჭნ გესურს,  
არამედ ვითარცა ჭნებაჳს შემოქმედსა ჩუჭნსა. დავამკვიდრებთ რა ჩუჭნს  
ნებას ამ გუჯარს კეთილს საქმეებზედ, ამით დავამტკიცებთ ჭეშმარიტ-  
სა სიუჭარულსა თავისა თჳსისასა.

რადა უნდა ვსთქვათ შესახებ გულისა? მსგავსად გონებისა და  
ნებისა, გულიცა მოქმედებს სჯულის წინააღმდეგად როდესაც ვასრუ-  
ლებთ ბოროტთა განზრახვათა ჩუჭნთა, ამისთჳს ჩუჭნც ყოვლის ღო-  
ნის ძიებით უნდა ვცდილობდეთ განშორებას ყოვლის ბოროტის გრ-  
ძნობისაგან და ვლაღაღებდეთ ღუთისამიმართ წინასწარმეტყველის  
დავითისაებრ: გული წმიდა დაბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრ-  
ფელი განმიახლე გუჯარს ჩემსა (ფსალ. 6, 10).

მაგრამ რადგანაც გარდა სულისა და მისაა ცნობათა, კაცს აქუჲს  
მეორე ნაწილიცა — სხული, ამისთჳს თანამდებობა სიუჭარულისა თა-  
ვისა თჳსისადმი საზოგადოთ და კერძოდ შესახებ სხულისა ჩუჭნი-  
სა მოითხოვს ზრუნვასა ჩუჭნსა მისის სიცოცხლისა და სიმრთელისა,  
სასმელისა, საჭმელისა, სამოსლისა და მრავალთა სხუათა გარეგანთა  
კეთილთა მისთათჳს. გარნა ჩუჭნ უნდა ვზრუნავდეთ და ვსცდილობ-  
დეთ მათის მოპოებისათჳს მხოლოდ ზომიერად, რადცა არის საჭი-  
რო დასაკმაყოფილებლად ხსენებულთა და სხუათა ბუნებითთა ჩუჭნთა  
მოთხოვნილებათა. მაგრამ ჩუჭნი ზრუნვა თავისა თჳსისათჳს გარდა-  
ხდება სჯულთა კანონთა და ამით ირდგვევს სიუჭარული თავისა  
თჳსისადმი. ჩუჭნ უნდა ვზრუნავდეთ სიცოცხლისა და სიმრთელისა-  
თჳს თავისა თჳსისა, მაგრამ ნაცუღლად აღსრულებისა ამ თანამდებობი-  
სა მრავალნი, როგორათაც ზემოთ ვსთქვით, განუსჯელად მიეცემიან  
ნაყროკნებასა, სიმთჳრალესა და მრავალთა სხუათა ბიწიერებათა, რო-  
მელნიც მსწრათელ, ანუ უდროოდ მოაუძღურებენ და მოაკუდინებენცა  
სხულის ძალთა. ეს არის თავის-მეჭუელობა, ერთი მომაკუდინებელ-  
თა ცოდვათაგანი. რა მიზეზიც უნდა ჭქონდეს ამ ცოდუას ყოველთჳს



სჯულის წინააღმდეგია და დამარტყვეული სიუწარულისა თავისა თვისისადმი. კაცს ვერ გაამართლებს თავის სიკეთეში ქრისტიანური უბედურება, ამისთვის რომელ მას უნდა ჰქონდეს მტკიცე სასოება ღმერთზედ, რომელსაც მხოლოდ შეუძლიან გამოხსნას კაცისა ამ გუარის უბედურებისაგან. ვითარცა სიუწარული მოეთხოვება იმ გუარს კაცს, რომელიც იმოკლებს ღმერთის სიბრძნით განსაზღვრულს ცხოვრებას. არა მსმენელნო! ჩუქნი გასაფრთხილებლად ამისთანა ცოდვისაგან გვაქვს ქრისტიანობრივი სწავლა, რომელიც გვაჩვენებს ჭეშმარიტსა გზასა, მიმუჭანებელსა ღმერთისადმი და საუკუნო სასუფიქელისადმი. ჩუქნის მხრით მხოლოდ ის არის საჭირო, რომ მტკიცედ ვიპყროთ ქრისტიანობრივი სწავლა და მაშინ თვით თავით თვისით მოვლებს ბოლო ყოველგვარს წინააღმდეგ საქმეს, და თავის-მკუჭელობასაცა.

რადგან თანამდებობასთან შესახებ სიტყვებისა და სიმართლისა ჩუქნისა აქნისთ დაახლოვებითი კავშირი სასძელს, საჭმელს, საცმელს და სხუათა მრავალთა, რომელთა გარდა არ შეიძლება ხორციელი ცხოვრება, ამისთვის შესახებ მათსაცა უნდა ვიხმაროთ ჯეროვანი ზომიერება ჭ მადლობა. ყოველნივე აღნიშნულნი საჭიროებანი ჩუქნის სიტყვებისათვის უნდა მივიღოთ ჩუქნი, ვითარცა ნიჭნი სახიერებისა ღმერთისანი, რომელმაც მომცის ჩუქნი ყოველნივე მდიდრად საშუალებად (ა ტიმ. ვ. ის), ჭ ვითარცა სახსარნი მოპოებისათვის ზეციურის სასუფიქელისა. მას უნდა ვმადლობდეთ, ვითარცა ჩუქნის უხვად მოწყალებს და აღმზღელს. ამ თანამდებობას დასდებს მოციქული პავლე ყოველს ეკლესიის შვილს: გინათუ ჰსჭამდეთ, გინათუ ჰსმიდეთ, გინათუ რასაცა იქიდეთ ყოველსავე სადიდებელად ღმერთისა იქიდეთ (ა, კორ. ი, ლა). მაგრამ სად არის გაგონება, სად არის სიუწარული ღმერთისა და თავისა თვისისა. ნაცულად მოთმინებისა და ზომიერად ცხოვრებისა მრავალნი მიეცემიან ნაყრთვინებსა და სიმთრეალესა, წინააღმდეგ თქმულისა: ნუ უკუჭ დამძიმდენ გულნი თქუქნისი შუბითა და მთვრალობითა და ზრუნვითა ამის სოფლისათა (ლუკ. კა, ლდ; ეფ ე, ის). ნაცულად სიმშვიდისა ტანთ ჩაცმაში შეიძლება თავთა თვისთა, ანუ



აქრობთ ანუ მარჯარიტით ანუ სამოსლით დიდ-ფასისათ (ა ტიმ. ბ, თ). ნაცულებად ზეციურთა საუნჯეთა შეიძენენ ქრისტეანიურს: სიმდიდრეს, დიდებას და პატივს. ამათ არს კაცისათვის ესე ყოველი, ვინა-დგან უკანასკნელი მათი დანიშნულება არის სიკუდილი, რომლისა შემდეგ განქრება ყოველი ძალი მათი და მნიშვნელობა. ჭეშმარიტად იტყუების მოციქული: ნუ გიუწართ სოფელი ესე, ნუცადა რაჲ არს სოფლისა ამის, უკეთუ ვისმე უკავრდეს სოფელი ესე, არა არს სიუ-წარული მამისა მისთანა; რამეთუ ყოველივე სოფელსა შინა ესე არს: გულის-თქმა ხორცთა, და გულის-თქმა თვალთა, და სილაღე ამის ცხოვრებისა (ა იოან. ბ, ე. ივ). მაშასადამე ჩუქნ უნდა ვცდილობ-დეთ არა დროებითი დიდების შეძინებისთვის, არამედ მისთვის, რაჲ-ცა შეადგენს საუკუნო კეთილებასა კაცისასა. უკეთუ აღვასრულებთ ამას, ე. ი. უკეთუ ჩუქნ ვეცდებით, რათა ყოველი ძალი ჩუქნი — სუ-ლიერი და ხორცაელი მოკისმაროთ მოსაზრებულად ქრისტეანიურის ჭეშ-მარიტის კეთილ-დღეობისა, და საუკუნო-დღესა ცხოვრებისა, მაშინ ჩუქნ დაკამტკიცებთ ჭეშმარიტსა სიუწარულსა თავისა თვისისადმი და აღვა-სრულებთ ზემოაღნიშნულთა მოციქულის სიტყუებთა: არა ვინ სადა თავი თვისი მოიძულის, არამედ ჭეშმარიტად ჭირდინ და ჭიუფუნებნ მას, ამინ.

ნიკოლოზ მთვარელი.



## შ ე ს ხ მ ა,

თქმული მაღალ-ყოვლად უსამღუღლოესისა ეკსეკისადმი ანხიების-  
გობისის, საქართუჭლას ექსარხისისა, უამსა შებრძანებისა მისისასა  
სამთავისის სობორისა შინა 30 ივნისს 1867 წელსა.

მაღალ-ყოვლად-უსამღუღლოესო მეუფეო!

შედგომილ-ხარ რა კუჭლთა უკანასკნელისა ექუსთა იერარხთაგა-  
ნისათა წინამოადგილეთა შენთასა, რომელნი ერთი შემდგომ მეორისა  
შეშვიდრე ექმნეს ივერისა საზატრიაჩხოსა საუდაჩსა, შენ, საშუალ  
ბერეულთა თანამდებობათა ჭ მოსაქმეობათა, გულსმოდგინედ ეძიებ ჭ  
ჭებობ შეძლებასა ხილუად ტაძრისა ამის ჭ იხილაგ მას მარადის  
კეთილ-მსახურებითითა განზრახვითა შით, რათა საზომისაებრ შეძლებისა  
არსებად მოიუჭანო სამარადისო მზრუნველობა შენა კეთილ-შუჭნიე-  
რებისათვს ძუჭლასა ამის საგანისა, რომელიცა, განმავალობასა შინა  
ათ-სამეტთა საუკუნეთა, დაიტევდა თვს შორის კათედრასა სამთავისისა  
მღუღლოთ-მთავართასა, - მზრუნველობა, გამოსახული აწინდელსა კე-  
თილ-სახილველსა მდგომარეობასა შინა მისსა.

მოხუჯალ-რა განზრახვითა შით, შენ ყოველგზის მოგაქუს თვს-  
თანა სიხარული იგი, მხიარულება იგი, დღესასწაულება იგი, რომე-  
ლნი განჭკურვნენ სამწესოსა შორის ამა ტაძრისასა ნახევარ საუკუნე-  
დსა ურვასა, რომელსა შეაყენა იგი შთამოუჭანებამან ამა ტაძრ-  
ისამან ხარისხსა ზედა სამრევლოდსა ეკკლესიისასა.

მოკედ უკუჭ, სახიერო მწუემსთ-მთავარო! აღსრულებად უსის-  
ხლოდსა მსხუჭრზლისა შეწირვისა ტაძარსა შინა, რომელი დღესასწა-



უღობით მოეღის სმენად კედელთა შორის თვსთა ხმასა წმიდისა  
 კედლებისა შენისასა, რომელი შთასხავს გრძნობათა შინა ქრისტიანუ-  
 თასა მარადის ჭ ყოველგან მას ღრმას: კეთილმორწილებისა ღმობი-  
 ერებისა, რომელსაც შთანერგავს გუფთა შინა მათთა სამღთომორქი-  
 დება მღუდელთმთავრისა, რომელსა კელ ეწითა მოპოება საზოგადო-  
 დასა სიუკარულისა, საზოგადოდას ერთგულობისა სიტყვიერსა სამწ-  
 ყოსასა შორის თვსთა. ამინ.

სამთავრის მღუდელი თელიმონ კ ა რ ბ ე ლ ო კ ი .

სწავლა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუჭნისა იოანე ოქროპირისა ოთხშაბთ-ვა-  
 რასკევისათვის.

ძმანო საუკარელნო! ისმინეთ მტნება ესე, რომელთა გამტნებ თქუჭნ,  
 რამეთუ რომელმან შერიათ ოთხშაბათი ჭ ზარასკევი, უკეთუ ხსნილი  
 არ იყოს, ანუ დღესასწაული, განუჩებულ არს ქრისტიანობისაგან:  
 ვინაიდაც დღესა ოთხშაბათსა განიზრახსა ღმერთმან დაბადებისათვის  
 კაცისა, ჭ დღესა ზარასკევისა დაჭბადა ადამ. დღესა ოთხშაბათსა შეუდ-  
 გა ეშმაკი გველსა ჭ გველი ევასა; დღესა ზარასკევისა ჭსტთა ევა და  
 ატოუნა ადამიცი და ჭამეს ნაყოფი და გამოვარდეს სამოთხით. დღე-  
 სა ოთხშაბათსა განსტა იუდამ ქრისტი, დღესა ზარასკევისა ჭუარს-უცვა  
 ქრისტი. რომელმანცა ოთხშაბათი შერიათ, იუდასთან დაისაჯოს, და  
 რომელმან ზარასკევი შერიათ, კაიათან, ანას და ზილატესთან დაისა-  
 ჯოს. რომელმან დაუჭირებლად აღმოუშვას საშინელი სიტყუა ვინე-  
 ბისა ზირისა მისისაგან და უარ-ყოს ღმერთი წინაშე კაცთა, იგი უარ-  
 ყოს ღმერთმან წინაშე ანგელოსთა მისთა. არა შეენდობიან ცოდუნი  
 უარის მყოფელსა და ზირით მაგინებელსა, არამედ ტეტხლსა შინა უმ-  
 რეტსა და სასჯელსა საუკუნესა მიეტეს, რომელი განმსადებულ არს  
 ეშმაკისათვის და ანგელოსთა მისთა. ვაჲ უსჯულთა, ვაჲ მემთუჩა-  
 ლეთა, ვაჲ მძრახვთა, ვაჲ ენის მქსოველთა, ვაჲ ამპარტაკანთა, ვაჲ  
 მაგინებელთა, ვაჲ მტერსა ხუცისასა, ვაჲ ხუცესსა მემთუჩალესა, მე-



შეოთესა, გულ-მწერალსა ჭ ამხარტავანსა, — ვაჲ სიძვის მოყვარეთა, ვაჲ შემრუშეთა, ვაჲ ამხარტავანთა. — ვაჲ მათ, რომელთა თჳსთა მშობელთა ჰატვი არ დასდეს, — ვაჲ ვახშის ამღებელთა; უმჯობეს იყო, თუმცა დედასა გველი ეშობა და არა შვილი — ვახშის ამღებელი, — ვაჲ ვინც თვიცოს, ანუ აფიცოს, რამეთუ სოფელი წარმავალი არს, — ვაჲ ვინც სსწორსა და სწყაოსა დააკლოს, რამეთუ გვიბრძანებს ღმერთი, რამეთუ მოგეტ თქუწნ ექუწნი დღე შრომისა და ერთი დღე განსვენებისა და ლოცვისა.

რუს. ისაკ იორდანოვი.

ახარება წმიდის დავით გარეჯის უდაბნოსა.

ჩინა-სა წელსა თვესა ივლისის იმ-სა დღესა, უამსა მწუხრისასა, მოიწივნეს უსჯულანი ლეკნი უდაბნოსა წმიდისა დავითისასა, გარეჯად წოდებულსა, თავსა უაჩაიისასა, რათამცა წარტყუწნონ იგი ჭ კითარცა მოვიდნენ, იხილეს უღმრთოთა მათ, რომელ არა აქუწდათ ღირსთა მამათა სჭურველი; მაშინ იქმნა სწადელი მათ უღმრთოთა. მაშინ ეწუწენ და შეიპყრნეს რამელნიმე მათგანნი, და რომელნიმე ივლტოდნენ არა თუ მონაზონნი, არამედ მოჩილნი და შეიპყრეს ღირსნი მამანი, და იქმნა დენა და ღვრა სისხლისა, და წარწემედა ცხოვართა, რომელთაცა არა ჭყუწნდათ დროსა მას მწყემსი და არცა მცუწლნი, რათამცა დაცულ ქზნილ-იუწენ და არა წარტყუწნილ. იქმნესე მსგავსად წინაჰართა მამათა, რომელნი დაიკლნეს მათვე უსჯულთა ლეკთავან, წინამძღვრობასა ონოფრისასა, და მოკლეს სანატრელი შაო, გაბრიელ, და დავით და მწირ-მონაზონნი ხუთნი. მსგავსადვე ამისა აწცა იძია შური ბოროტმან მან ეშმაკმან, და მოაწივა განსაცდელი უძვირეს ჰირველისა, და იქმნა ასჰარეზობა ფრიადი, და მოკლეს სანატრელი მღუღელმონაზონი გეონტი, კაცი თვილოსოფოსი, განთქმული ყოველთა შორის სრული ჰგალობელი, იყო სანატრელი იგი მღებარე სარტყელსა ზედა უძღური, და მოხუცი ფრიად.



და არა ძალედვა, არამედ დაითხია სისხლი მისი ვითარცა სისხლი ლტოლ-  
ვილის ზაქარიასი ძისა ბარუქისა რომელი მოიკლა საკურთხეველსა შინა;  
ეგრეთვე შეიპყრეს მამა მღვდელმონაზონი სერაპიონ, დაუხეთქნეს მახვი-  
ლითა ორპირითა თავი, და გარდამოსწკეთდა სისხლი ვითარცა ლუ-  
ჩი ნაპრაღისა და იღებებოდა სპეტაკი თმა თავისა, და წვერი მისი  
და იქსობოდა პოეტური შეწამული მისთვის: კვალად შეიპყრნეს მწი-  
მონაზონი გერმანე, და ბესარიონ და მოკლნეს იგინი. კრალად მოკ-  
ლეს სანატრელი მიხაილი ქართველთა, რომელმან დუმილით ჭ თრი-  
ადი მოჩილებითა აღასრულა ცხოვრება თვისი, კრალად მოკლეს მო-  
ჩილი ოთარ საბერო ელიოზოვი; კრალად მოკლეს სვიმონ მოსწავ-  
ლე ლომიძე, და დაითხია სისხლი იმათი, და განაკრცო პირი მიწა-  
მან ვითარცა მწუგრვალმან და შესვა ვითარცა მწუგრვალმან და ძველ-  
თაგან ჩვეულმან და შემდგომ ამათსა წარიუჭანეს ტუჩებდ მღვდელ  
მონაზონი მაკარი და ისაკი, და იეროდიაკონი სერგი, მოსწავლე  
მიხაილ დოღმაზოვი, და ვასილ ქისიყელი, და დაშთა მოსწავლე  
დავით დოღმაზოვი, რომელიც არს დღეს მუნ უდაბნოსა შინა მღვ-  
დელმონაზონი; ესე გადარჩა აღმოკვეთილსა კლდესა ქვეშე, და ორ-  
ნი მოსწავლენი ივლტოდეს, და გადარჩნენ მშვიდობით, რომელ დღე-  
საც ცოცხალ არიან, ერთი ქვემო ხანდაკის მღვდელი ალექსი ყანდა-  
რელი და ჭუკა დაღმაშვილი ნათლის მცემელსა შინა მივიდნენ და მი-  
უთხრეს ამბავი ესე.

ღ ოდესაც მოაოხრეს ყოველივე, დაღეწეს წმიდანი ხატნი, ოქრო  
ღ ვეცხლი განძარცვეს ჭ წმიდანი სახარებანი, და წმიდანი ტრავპენი, ჭ  
შესამოსელნი, ძვირ ძვირფასნი; ესე ყოველნი იავარ ევეს და არა-  
ვითარი რაიმე უტევეს, გარნა წმიდის დავითის სათლავის ეკლესიას  
ვერ ჭპოეს ჭ დაშთა უვნებელად; ხოლო სხუა არა რაიმე უტევეს, და  
იყო ბნელი ღამე ჭ წარვიდნენ ტყვეებითურთ, შვიდნი მოსწვიდნეს,  
და შვიდნი წარიუჭანეს; იგინი იუჭენ ცხენით, ხოლო ტყვენი თერ-  
ხით მიჭყუანდათ; ოდესაც მივიდნენ თვისსა საბანაკოსა აღაგსა ყარა-  
იად წოდებულსა, და დაბანაკებულ იქმნენ უსჯულთანი იგი ლეკნი, იყო



ღამეს მას დიდი საკვირველი და განსაცვიფრებელი ჩვენება, რომეთუ  
გარდამოხდა ნათელი უდაბნოსა მას და განათლდა უკუნი ბნელი, და  
იქმნა ხალვა ამა ნათლისა სოფლებთაგანაც, და ვითარცა იხილა დაკით  
მოსწავლემან კლდის აღმოკვეთილიდგან, რომელი იყო დამალულ, სი-  
ნათლუ დიდი, ესრეთ გონებდა ვითარმედ აღანთეს სანთელიო, და შე-  
ძაებენ მე და დამალულთა სხუათაცაო შეშინდა ფრიად, და მასვე ეს-  
მოდა ხმა მამა სერაპიონისა, რომელი იყო ფრიად დაჭრილი და გუ-  
ნესოდა, და ოდესაც დასცხრა სანატრელი სერაპიონ და მიიძინა სა-  
კუნო ძალითა, მაშინ ჩაქრა ნათელი იგი, და იქმნა ბნელი. და მას  
ჟამსა იუჟინს უსჯულონი ლეკნი შემოხსენებულს ადგილს, ხეკსა ყარაი-  
ისასა დადგომილნი, და ვითარცა იხილეს ნათელი იგი, იტყოდეს  
ვითარმედ ჩუწნთვს იყოო, რომეთუ განგუწმარჯვარო, და იგინი იწკე-  
ბიან ცეცხლითა, რომელნიც მოკაკუდინეთო, და ტუწმთა ულოცავდენ  
ლეკნი და ვტყოდენ, თქუწნ განგარინეთო მშვიდობით, გარნა იგინი  
არა რას მიუკებდენ, და ფრიად სტიროდენ და იცემდენ შეკრდესა და  
იტყოდენ: ვაჲ უბადრუკოთა თაკოთ ჩუწნთა, რაისათვს ჩუწნცა არა მი-  
ვიდეთ მათთანა ალსარული რომელ ვიქმნებოდით, ჩუწნცა შვილნი სა-  
სუფეკველისანი. მაშინ წარვიდნენ და წარიუჟანეს იგინი და ნათელი  
იგი იხილეს ყოველთა მკვიდრთა ქართლისა, და კახეთისათა, რომელ-  
ნი იუჟინს კელად, და მოგზაურ და აწცა ბევრნი მიხილავს, რომელნი  
იტყოდენ ხილუასა მას საკვირველსა. ამისა შემდგომად სხუანი, რომელნი  
ლტოლვილ იუჟინს უწინარეს შემოსვლისა უსჯულთა მათ, მივიდნენ  
უდაბნოსა მას იოანე ნათლისმცემლისასა, და მათ მიუთხრეს და გა-  
მაგრდნენ იგინი და მიერ წარვიდეს და მიუთხრეს სოფლად მყოფსა  
არხიმანდრიტს იოანეს ავალოვს განსაცდელი იგი; და ვითარცა ესმა  
წინამძღუარსა და სხუათა მკვიდრთა სოფლისათა, იქმნა მიმო ურთი-  
ერთარს ზახილი, ტირილი და გაება ყოველთა მსმენელთა მიმართ.  
ოდეს მივიდა არხიმანდრიტი და იხილა ბაკი იგი ცხოვართა თვსთა  
აოხრებული და ცხოვარნი რომელნიმე მომწყდარნი, რომელნიმე წარ-  
უჟანებულნი და რომელნიმე განბნეულნი მკელთაგან, სტიროდა ფრი-



ად სტიროდეს, ეგრეთვე არხიმანდრიტი იოანე კორკასი, და მონა-  
ზონნი იოანე ნათლისმცემლის მონასტრის, და კრებულნი, და დაი-  
ფხვრიდენ თმათა თავისა მათისათა: და აღიღეს სანატრელნი გუამნი  
და შემურეს და დაუღეს სამარხელსა მამათა ჩუქნთა წინა-პარ ყო-  
ფილთა ამა უდაბნოსა შინა, ეკლესიასა თანა ღირსის დაკითხისა  
გარეთ პირის პირ სსსაფლასა მისსა შვიდნი იგი ერთად, და არიან  
მომლოდნელნი მოხსენებისა და მოუღიან მომკაღსა უფალსა იესოს,  
და იქმნება მათინ წინაშე მისსა მოხსენება მომხსენებელთაცა მათთა.

მეორედ წახდენა უდაბნოსი დაკით გარესჴისა, ჩეს-სა წელსა  
ა-სა ოკდომბერსა. მოვიდნენ ბოროტნი ლეკნი და იავარყუქს უდა-  
ბნო; მაშინლა პოკეს სსსაფლას ეკლესიის კარი სადაცა დამარხულ  
არს წმიდა დაკითი და განტეხეს კარი მისი და მუნ დაშთენილნი ნი-  
კონი წარიდეს ყოველივე, მარგალიტის ფილანი, ბაჰძიმნი, ჴუარნი,  
სახარებანი, და კანდელნი ვეცხლისანი, ზედა საბურველი საფლავისა,  
რომელ იყო ოქრო ქსოვილი, მიტრანი და ყოველნი ძვრ-ფასნი ნი-  
კონი; და წარიდეს მადლის ქუა, რომელი მოტანილ იყო წმიდისა  
დაკითისა-მიერ იერუსალიმით, თანა წარყუანეს ტუქსდ მღუდელ-  
მონაზონი მიტროფანე; განეკა შეპყრობილმან თავი თვისი იერომნა-  
ხმა გაიოსმან და გარდაჴარდა თავსა კარის ბჴისასა, და წარვიდა გაქ-  
ტევით მხარესა დასავლეთისასა და დაიმაღა გეონტის ბაღის დასწვრივ  
ნაპრალსა ხეობისასა, და სხუანი წარყუანეს ტუქსნი, და მოკლეს  
გზასა შინა მავლობას ყარაული მიხაილ სერგიაშვილი, და სხუანი  
წარყუანეს ტუქსდ ორნი ჴაბუკნი რუსნი მლოცველად მოსრულნი,  
და ორნი ქართველნი ყარაულნი. გამოიხსნეს მღუდელ-მონაზონი  
მიტროფანე, და მანვე მოიტანა მადლის ქუაცა, და რუსნიცა და ქარ-  
თველნიცა გამოხსნილ იქმნენ ფრად მოწყალე კელმწიფისა-მიერ. ესე  
ყოველივე შემთხუქვა ჩემ-მიერ არა ხილულ არს, გარნა მხილველვარ  
ტუქსდ ყოფილთა მამათაგანისა, იეროდიაკონის სერგისა რომელი  
აქავე იყო უდაბნოსა შინა, და გარდაიცუა. იგი მრავალს იტყოდა,  
გარნა მე მცირე დავერე, მღუდელ-მონაზონი, ისაჴი ვიხილე გენათის



მონასტერისა შინა, და მანცა მიაშობა ეოკელი, გარსა შე არა ძალ-მედვა აღწერად ეოკლისა, რასაცა ამბავსა იტყვიან იმ დროს მხილველნი, აქავ დავით გარესჯის უღახოსა შინა იმ დროს დამსწრე და მხილველი მღუდელ-მონაზონი დანიელ, რომელიცა მითხრობდა მრავალთა, და შე აღვიწერე აქა.

მორჩილი სტუდენტი გოკელი ეკი.

უცები შეხვედრა სტუდენტისა სოფლისა მღუდელთან და მათი საუბარი.

სტ. ოჲ, რა კარგს დროს შემხუდით . . . მაკურთხეთ მამაო!

მღ. ეოკლად-სახიერმან მეუთემან გაკურთხოსთ კნიაზო, თუ . . . უკაცრათ არ განლაკართ, კერ მიცუნიხართ ვინა ბრძანდებით?

სტ. შე განლაკართ სტუდენტი გ—შვიდი და გიანლებით ნ—ში, მაგრამ, როგორათაც უცხო კაცს და უცხო ქრესტიანას მიმავალს, აი ამ უებას ადგილს მიღამდება, გზაც ვგონებ ამერიას, და არ ვიცი ვის მივმართო, აქეთ არა ვინა ჭხჩხანს და იქითა; შეიძლება მამაო შემიფაროთ ამალამ? სადაური ბრძანდებით ჭ ანუ რაგვარნი, იქმნება გიცნობდეთ? — განმამხედაც არ შეგაწუხებთ, ხომ გვაქუს ბიჭო ჩუწნი საგძალი; მხოლოდ ცხენების საჭმელი განლდესთ.

მღ. შე განლაკარ სოფლის მღუდელი ბ . . . კი, მაგრამ ჩემს სადგომამდის უკანასკნელი შვიდი ვერსტი გზა განლაკსთ ჭ აბა ძმაო რა მოგიხერხეთ ამ მინდორზედ? — აი აქ მახლობლათ, სულ ერთს ვერსტზედ, ჩემს მოწათეთა აქუსთ კალოები, სადაც შეიძლება ვიშოვოთ ცხენებისათვის საგძალი საჭმელი და თქუწნთვისაც მსუბუქი სამასპინძლო, ვგონებ იქ დუქანიცა აქუსთ, და თუ იხებებთ უ. სტუდენტო აბა წამობრძანდით, — მეც თქუწნის თავარით ამალამ დაკმთები თქუწნთანა და შეძლების გუარად შეგაქცევთ.

სტ. ოჲ მამაო, რა დიდათ დამავალებთ?! — თლონდ ერთი თავის შესათარი ადგილი კი ვიშოვოთ და ავსა და კარგს ვინდა



აკითხავს თქვენსი ჭირიძე, და უკეთუ თქვენც ინებებთ ამაღამ ჩემთან დაშოქნასა, და ეკ ხომ საუკუნოდ გარდაუხდელი დაკლება გახლდებით. ახა საით უნდა წავიდეთ მამაო; მიბრძანდით და ჩვენც გახლდებით.

მღ. აი ესე წამობრძანდით ჩემო უცნობო სტუმარო. ეტუობა ცხენებიც ძრიელ დაგლლიათ, მაგრამ როგორც წელანკე მოგახსენეთ, აი აქ ახლოს გახლავსთ კალოები; გვონებ აგერ ჭსჩანს კიდევ სათიკეების წვერები, თუ არა?

სტ. ჭსჩანს დიახ: აგერ ცეცხლიც გამოსჩნდა, ძაღლების ხმაც ისმის, ახლოსა გხლებიათ?

მღ. დიახ! აი თითქმის მიკედით კიდევ ეს წელის გზა გახლავსთ, აქეთ წამობრძანდით უ. სტუდენტო, ეგებ პატარა რიგიანი მასპინძელი ვიძოვოთ. ჭოო, სწორეთ ამ კალოს ვიძებდი!—აი ესე შემობრძანდით და ჩამოხდით. თქვენ დაწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ქეჩსა და ბზეს, თუ თიკას, დაუზოგავთ გვიჭმევენ ცხენებს, მაგრამ მაინც გაამხიკეთ თქვენსი საკუთარი მოსამსახურე ფხიზლათ გახლდესთ, და თქვენ ესე შემობრძანდით ამ მინდვრულს, თაქლის მოთახად წოდებულს სადგურშია, — ეს უნდა გახლდესთ ამაღამ ჩვენსი განსასვენებელი ადგილი; მასპინძელნი კიცი ჩვენ დაგვითმობენ ამაღამ აქაურობასა, და დაგვრჩება ეს მამაპაპეული შუა ცეცხლი მხოლოდ ჩვენსა. ახა გაფარალათდით უ. სტუდენტო, შეციკებისა ჩუ გეფიქრებათ, კიდევ დაგცხებათ გვონებ, და ჩუ მოიწყენთ თქვენსი ჭირიძე. მე ძმაო ამახედ მომატებულნი არ მეოხლოება ამ მინდორში, და თითქმის შინაცა, ხომ მოგესხეებათ გარკათ სოფულელ მღუდელთ იწრო მღკოიარება და მეტადრე უფრო კიდევ; ახლად მრეკლში შესულთა?—

სტ. მე დიდი მადლობელი გახლავართ ამ საუკუნოდ დაუვიწყარს პატარის ცემისათვის, და თუ მცირედა რამ სინიღისი იზოება ჩემშია, უნდა ვეცადო რასაკვარველია ამის გარდახდასა; მაგრამ მამაო, ესეკი შესანიშნავია ჭეშნარიტად სამღუდელთ ხასიათშია, რომ რაც უნდა მდიდარნი იყვნენ, მაინც კიდევ წუწუნებენ და სჩივიან თავიანთ სი-



ღარიბებსა, — არა ჩემო უვნობო მასპინძელო და მამაო ჰაყალუსტა?

მღ. არა საკვირველია. ჭსწორეთ ამ გუარს შემთხვევასედ არის ძველთადაც ნათქვამი: „სხუათა ჭირი ღობეს ჩხირიო.“ თქვენ უნდა უ. სტუდენტო შინაურულათ და თქვენის საკუთარის გამოცდილებით გქონდესთ მოხილვებული სოფელელ მღუდელთ საბრალო და ტანჯვით სავსე მდგომარეობა, და მაშინ უეჭველია იტყოდით, — მართლად არა ჭსტუევიან ეს საწყელები, მართლად შესაბრალისნი ყოფილანო.

სტ. გეტყობათ მამაო, რომ არც თქვენსა ბრძანდებით მადლობელი თქვენის ხვედრის ბედისა — მღუდელობისა, და საკვირველია ღმერთმან იცის; რაღათ არის მაშა ნათქვამი შესახებ ყოვლის ჰატვიის-ცემისა: „ჟერ მღუდელთა მერე მეფეთაო.“ ამასედ მომატებული რაღა გინდათ თქვენ დალოცვილებო?

